



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

20 06 2017 წ.

ბრძანება N 2-156

**სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შესახებ**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 23<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაენიშნოს საშემოდგომო გამოცდები დანართი N1-ის შესაბამისად სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც ვერ დაძლიეს კონკრეტული საგნის/საგნებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., #6).

საფუძველი: სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 19 ივნისის N9 სხდომის ოქმი (N683439 19.06.2017).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:

/ელზა ბადაშვილი/

